# სსიპ -კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

## ინკლუზიური განათლების მიმართულებით განხორციელებული სამუშაოს წლიური ანგარიში

## 2020 წელი

ავტორიზებული სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება **სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“** დაფუძნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის №176/ნ ბრძანების საფუძველზე. 2019 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 19 ივნისის N121/ნ ბრძანებით დამტკიცდა სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ წესდება და ძალადაკარგულად გამოცხადდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის №176/ნ ბრძანება. შესაბამისად, **სსიპ – კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“** წარმოადგენს მის უფლებამონაცვლეს.

**კოლეჯის მისიას** წარმოადგენს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

**კოლეჯის ხედვაა**, 2025 წლისათვის კოლეჯი იყოს კერძო და სახელმწიფო სექტორებისათვის მიმზიდველი პარტნიორი და მიმართულებების შესაბამისად დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის მოთხოვნა კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე.

**კოლეჯის მიზანია** პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.

<u>თავისი მიზნების მისაღწევად</u> კოლეჯის საქმიანობის საგანია განახორციელოს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები, ტრენინგ-კურსები და პროგრამები არაფორმალური განათლების ფარგლებში, ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან/ დაწესებულებებთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით, გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით. კოლეჯი დასახული მიზნების მისაღწევად ასევე ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.


საკონტაქტო ინფორმაცია:
მის: საქართველო, ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა, N44
www.profgldani.ge
profgldaniedu@gmail.com
ტელ: + 995 32 2140314, + 995 32 2140315

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების კურსები

კოლეჯს 2019 წლიდან 6 წლის ვადით მინიჭებული აქვს ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. კოლეჯის ძირითადი საგანმანათლებლო მიმართულებებია - ინჟინერია, ხელოვნება, ბიზნესის ადმინისტრირება და სხვა. ამ დროისათვის, ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს მე-3-4-5 საფეხურის/დონის შემდეგი პროგრამები:

| № | *პროგრამის დასახელება* | *კრედიტების რაოდენობა საფეხურის მიხედვით* | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I | II | III | IV | V | შენიშვნა |
| 1 | ბუღალტრული აღრიცხვა | – | – | – | – | 99 | არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი) |
| 2 | ვებ პროგრამისტი | – | – | – | – | 115 | არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5 თვე, 30 კრედიტი) |
| 3 | ინფორმაციის ტექნოლოგია | – | – | 60 | – | – | არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი) |
| 4 | საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი | – | – | 75 | – | – | არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი) |
| 5 | საოფისე საქმე | – | – | – | 59 | – | არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი) |
| 6 | კომპიუტერული ქსელი და სისტემები | – | – | – | 90 | – | არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი) |
| 7 | საფინანსო სერვისები | – | – | 51 | – | – | არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი) |
| 8 | სამკერვალო წარმოება | – | – | 99 | - | – | არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი) |
| 9 | აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება | – | – | – | 90/143 | – | არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი) (მ.შ. ინტეგრირებული მიდგომით) |
| 10 | გრაფიკული დიზაინის შესრულება | – | – | – | 90/143 | – | არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი) (მ.შ. ინტეგრირებული მიდგომით) |
| 11 | ინდუსტრიული დიზაინის შესრულება | – | – | – | 83 | – | არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი) |
| 12 | ვებტექნოლოგიები | – | – | – | 63/114 | – | არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი) (მ.შ. ინტეგრირებული მიდგომით) |
| 13 | მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება | – | – | 58 | – | – | არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი) |
| 14 | მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება | – | – | 57 | – | – | არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი) |
| 15 | მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება | – | – | 81 | – | – | არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი) |

პროფესიული მომზადების პროგრამა:

- „სოციალური მედიის მართვა“.

კოლეჯში ასევე ისწავლება შემდეგი სასერტიფიკატო მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (ტრენინგ-კურსები):

- ბუღალტრული აღრიცხვა;
- ინფორმაციის ტექნოლოგია (კომპიუტერული ტექნიკის არქიტექტურა და ინჟინერია);
- ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი;
- ოფისის მენეჯერი;
- კომპიუტერული გრაფიკა (რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება);
- კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსი;
- „ამზომველ-ტოპოგრაფი (აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება)“;
- მეწარმეობა (მცირე ბიზნესის მწარმოებელი);
- ძრავის შემკეთებელი;
- მოლარე;
- ვებ-პროგრამისტი;
- „მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი“;
- „ტანსაცმლის დიზაინი და კერვა“;
- გერმანული ენა;
- ინგლისური ენა;
- „მართვის მოწმობა“ (ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვა - თეორიული საკითხები);
- პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები;
- საქმიანი ურთიერთობის კულტურა;
- კომუნიკაცია;
- სალარო ოპერაციების განხორციელება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით.

## არსებული რესურსების (ადამიანური, მატერიალური და სხვა) შეფასება

კოლეჯში შემუშავებული პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. კადრები სისტემატურად გადამზადდებიან სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა სწავლების შესაბამისი მეთოდებისა და ინსტრუმენტების ადაპტირების კუთხით. ცენტრი აღჭურვილია პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი უახლესი ტექნიკით. უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო ინფრასტრუქტურა მთლიანად ადაპტირებულია ინკლუზიური განათლების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით და ყველანაირ საშუალებას იძლევა, რათა შესაბამისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებმა ხარისხიანი სწავლება გაიარონ. კოლეჯში ფუნქციონირებს სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა და სამედიცინო ოთახი.

სპეციალობებიდან გამომდინარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევების სფეროს კომპანიებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები პროგრამებისა და მოდულების ადაპტირების შემუშავების, განხორციელების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის პროცესში, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში ცვლილების შეტანისას.

ვთანამშრომლობთ და მაქსიმალურ გათვლას ვახდენთ კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად, რათა შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულები, მათ შორის, შშმ და სსსმ სტუდენტები წარმატებული იყვნენ. მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ვაქვეყნებთ ინფორმაციებს სხვადასხვა კომპანიებში გამოცხადებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით, ასევე, ინდივიდუალურად ხდება რეკომენდაციების გაწევა კურსდამთავრებულთათვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად.

2019-2020 წწ. კოლეჯში გაიმართა სხვადასხვა დასაქმების ფორუმი, რომელიც ინიცირებული იყო, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ, მაგალითად: შპს ,,ნიკორა“, შპს ,,თეგეტა მოტორსი“, შპს „news group”, სს „ჯი-პი-აი“, სს ,,ირაო“, “Sales Partner Group”, “Flexmedia” და სხვა. დასაქმების ფორუმებზე აქტიურად იყვნენ ჩართული კოლეჯის სსსმ პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

## კოლეჯში ჩარიცხული სსსმ და/ან შშმ სტუდენტების რაოდენობა და მათი საჭიროებები

კოლეჯი აქტიურად არის ჩართული სსსმ და/ან შშმ პირთა მიერ პროფესიული განათლების მიღების პროცესში.

2020 წლის მიღებაზე კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ იქნა და სწავლას აგრძელებს 3 სსსმ პროფესიული სტუდენტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე:

- „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ( მე-3 საფეხური) - 3 სსსმ სტუდენტი.

2020 წელს მიღებულ სსსმ პროფესიულ სტუდენტებთან ერთად, კოლეჯში სწავლას აგრძელებს 2019 წლის შემოდგომაზე მიღებული 3 სსსმ პროფესიული სტუდენტი:

- „საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი“ (მე-3 საფეხური) - 2 სსსმ პროფესიული სტუდენტი;
- „ვებ პროგრამისტი“ (მე-5 საფეხური) - 1 სსსმ პროფესიული სტუდენტი.

2020 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა 3 სსსმ პროფესიული სტუდენტს, შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- „საფინანსო სერვისები“ (მე-3 დონე) - 1 სსსმ პროფესიული სტუდენტი;
- „ბუღალტრული აღრიცხვა“ (მე-5 დონე) - 1 სსსმ პროფესიული სტუდენტი;
- საფინანსო სერვისები -(მე-3 დონე)1 სსსმ პროფესიული სტუდენტი.

2020 წლის 7 აგვისტოს, თავისი განცხადების საფუძველზე სტატუსი შეიწყვიტა 1-მა სსსმ პროფესიულმა სტუდენტმა პროგრამა: „ კომპიუტერული ქსელები და სისტემები“.

2021 წლის 5 თებერვლიდან - 2022 წლის 5 თებერვლამდე. თავისი განცხადების საფუძველზე, სტატუსი შეიჩერა - ერთმა სსსმ პროფესიულმა სტუდენტმა პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“.

ამჟამად, კოლეჯში ირიცხება და სწავლას აგრძელებს 6 სსსმ პროფესიული სტუდენტი, შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- „ინფორმაციული ტექნოლოგია“ (მე-3 საფეხური) -3 სსსმ პროფესიული სტუდენტი;
- „საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი“ (მე-3 საფეხური) - 2 სსსმ პროფესიული სტუდენტი;
- „ვებპროგრამისტი (მე-5 საფეხური) - 1 სსსმ პროფესიული სტუდენტი.

კოლეჯში სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის შექმნილია ყველა პირობა, მიიღონ ხარისხიანი, პროფესიული განათლება. ზემოხსენებული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლისა და დასაქმების კუთხით, კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კოლეჯი ახორციელებს წინასწარ მოკვლევას იმის შესახებ, თუ რამდენად შეძლებს დამსაქმებელი სსსმ პირის/ების მიღებასა და მისთვის შესაფერისი გარემოთი უზრუნველყოფას.

**სსსმ სტუდენტთათვის სასწავლო პროცესისას გაწეული მხარდაჭერა**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 24 იანვრის N110 ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამით“ გათვალისწინებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების დანერგვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე სსსმ პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამაზე, რომელთა ხანგრძლივობა აჭარბებს ერთ ან ორ კალენდარულ წელს, 2015 წლიდან სამინისტროსთან შეთანხმებით, კოლეჯში დღემდე დასაქმებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების ერთი სპეციალისტი.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობაზე მონიტორინგის მიზნით, რეგულარულად ხდება დაკვირვება სწავლების პროცესში, სასწავლო პროცესის ანალიზის შედეგად სწავლების ეფექტური სტრატეგიების შერჩევა და მათი დანერგვის ხელშეწყობა. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პროფესიული სტუდენტის შესაძლებლობების, ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და შეფასების ინსტრუმენტის მოდიფიცირება ან/და აკომოდაცია, ასევე, ხორციელდება საკონსულტაციო შეხვედრები სსსმ პროფესიული სტუდენტების მშობლებთან ან მათ კანონიერ წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრებისას ისინი იღებენ ინფორმაციას პროფესიული ინკლუზიური განათლების შესახებ, განიხილება სწავლებასთან მიმართებაში სსსმ პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებები და ინდივიდუალური თავისებურებანი, ლექციებზე დასწრებისა და მოტივაციის ამაღლების, ასევე დაუდასტურებელი მოდულების გავლის საკითხები. საჭიროების შემთხვევაში მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან აქტიურად ხორციელდება სატელეფონო კომუნიკაცია, არსებული წარმატებისა და გამოწვევების გაცნობა, სასწავლო პროცესში ცვლილებების, სასწავლო შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

**ინკლუზიური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები**

- 2020 წლის 7 მარტს, გაიმართა შშმ პირთა დასაქმების ფორუმი - „ამოიცანი შესაძლებლობები“. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა მიიღო 7-მა პროფესიულმა სტუდენტმა. ევროკავშირის მხარდაჭერით” Erasmus + “ პროექტის ფარგლებში, ახალგაზრდული ასოციაცია „დრონისა“ და საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივით, „თბილისი რუმს ჰოტელში“ 80-მდე შშმ პირი და დამსაქმებელი ორგანიზაცია მონაწიელობდა. ღონისძიება მოიცავდა ინფრომაციულ ნაწილს, კერძოდ შეზღუდული შესაძლებლობისა და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დასაქმებასთან დავშირებით არსებულ მიღწევებს, გამოწვევებს, სტატისტიკასა და სამოქმედო გეგმას(არსებული სირთულეების აღმოფხვრის მიზნით.) ფორუმის მეორე ნაწილში, კოლეჯის სსსმ პროფესიული სტუდენტები გაესაუბრნენ დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, გაეცვნენ არსებულ ვაკანსიებს და შეავსეს პირადი მონაცემები.
- 2020 წლის 5-6 მარტს „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ ორგანიზებით და გერმანიის ფედერალური სამინისტროს BMZ (SEQUA) მხარდაჭერით პროფესიული განათლებისა და სწავლების პარტნიორობის პროექტის ფარგლებში, გაიმართა 2-დღიანი ტრენინგი პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებისთვის კოლეჯებისა და საწარმოთა პრაქტიკული თანამშრომლობისა და კომუნიკაციის კომპონენტების შესახებ, სადაც განხილულ იქნა პროფესიული სასწავლებლებისა და კომპანიების ურთიერთთანამშრომლობა გერმანული 4 საფეხურიანი სწავლების მეთოდების მაგალითზე.
- 2020 წლის 16 იანვარს, კოლეჯს ესტუმრნენ ორგანიზაცია BTEC–ის ექსპერტები. შეხვედრაზე, მათი მხრიდან, მოხდა პრეზენტაცია საერთაშორისო პარტნიორის Pearson Education Limited, ბიზნესისა და ტექნოლოგიური განათლების საბჭოს (BTEC - Business and Technology Education Council) სტანდარტებისა და აკრედიტაციის წესის შესახებ.

- 2020 წლის 20 იანვარს, კოლეჯს აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლები ესტუმრნენ. ვიზიტი მიზნად ისახავდა პროგრამის, „უნარები უკეთესი დასაქმებისთვის" განხორციელებას.
- 2020 წლის 22 იანვარს, კოლეჯს ორგანიზაცია GIZ-ის წარმომადგენლები ესტუმრნენ. დაგეგმილი ვიზიტის ფარგლებში ისინი გაეცნენ კოლეჯში არსებულ გამოწვევებ, ადმინისტრაციასთან ერთად იმსჯელეს განათლების ხარისხის გაუმჯობესების გზებსა და სამომავლო გეგმებზე.
- 2020 წლის თებერვლის თვეში კოლეჯმა გამოაცხადა მირება მოკლევადიან სასერტიფიკატო კურსებზე სამი მიმართულებით „ტანსაცმლის დიზაინი და კერვა“, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“ და „კომპიუტერული გრაფიკა“. კურსებზე რამდენიმე შშმ/სსსმ მსმენელი დარეგისტრირდა.
- 2020 წლის 17 ივლის კოლეჯის ტერიტორიაზე ავტოსახელოსნოს მშენებლობა დაიწყო ახალი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ და „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“ პრიორიტეტული მიმართულების პროგრამების დასანერგად. ,ახალი პროგრამებისთვის, თვალსაჩინოებისთვის შეიქმნა პოსტერები, რაც უფრო მეტად შესამჩნევს ხდის აპლიკანტებისთვის კოლეჯში არსებულ პროგრამებს. პოსტერები განვათავსებულია კოლეჯის სოციალურ გვერდზე. 2020 წლის 2 სექტემბერს კოლეჯს სტუმრობდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ქალბატონი თამარ ქიტიაშვილი, რომელიც დაინტერესდა მიმდინარე სიახლეებით და მშენებარე ავტოსახელოსნო დაათვალიერა.

2020 წლის 16 მარტიდან 1 ივნისის პერიოდში, ახალი ბკორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო, დისტანციურ რეჟიმში მუშაობის პირობებში, „ციფრული ხელოვნებისა“ და „ვებტექნოლოგიების“ ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე, კოლეჯში შემუშავდა 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებითა) და ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ და „ვებტექნოლოგიები“ (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებითა და ინტეგრირების გარეშე). პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს განადწყვეტილებით, კოლეჯმა მოიპოვა ამ პროგრამების განხორციელების უფლება. გარდა ამისა, არსებული რესურსების გათვალისწინებით, კოლეჯმა „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მოიპოვა პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაზრდის უფლებაც.

2020 წლის 11-13 აგვისტოს დაწესებულებაში დაიგეგმა სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პრფესიული განათლების ექსპერტების ვიზიტი „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“, „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთებისა“ და „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით. პროგრამებზე მიღება განხორციელდება 2021 წლიდან.

**2020 წლის მიღება:**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდა 2020 წლის 20 მაისიდან 10 აგვისსტომდე. კოლეჯმა მიღება გამოაცხადა რამდენიმე მოდულურ პროგრამებზე. 2020 წლის მიღების პერიოდში, დარეგისტრირებულთა შორის, სპეციალური საჭიროება მითითებული ჰქონდა 4 აპლიკანტს, თითოეულ მათგანს მიეწოდა ინფორმაცია არსებული პროფესიული პროგრამების შესახებ, გაეცვნენ შესაბამის დასაქმების სფეროებს, რათა აპლიკანტებს თავად მიეღოთ გადაწყვეტილება და აერჩიათ სასურველი სპეციალობა საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

2020 წლის 30 იანვრიდან, კოლეჯი სრულად გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე. კოლეჯის ადმინისტარცია ორიენტიერებულია, დისტანციური სწავლების პერიოდში გამოვლენილი სირთულეების მუხედავად, მაქსიმალურად ხარისხიანი სწავლება შესთავაზოს სტუდენტებს.

**სასწავლო და სამუშაო პროცესში გამოვლენილი წარმატებები/შედეგები და სირთულეები/გამოწვევები**

კოლეჯი აქტიურად უწყობს ხელს ინკლუზიური განათლების დანერგვას, ვინაიდან სსსმ პირები გახდნენ მეტად ინტეგრირებულები საზოგადოებაში, შეიძინონ პროფესია და დასაქმდნენ. შესაბამისად, სასწავლო პროცესი მორგებულია მათ შესაძლებლობებზე. ამავდროულად, ყველას აქვს მზაობა მიიღოს პროფესიული განათლება. გარდა ამისა, კოლეჯში სისტემატიურად იმართება შეხვედრები სკოლის მოსწავლეთა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კუთხით. ისინი, მათ შორის, სსსმ და შშმ პირები ხშირად სტუმრობენ კოლეჯს სასწავლო ლაბორატორიებისა და სახელოსნოების, პროფესიული პროგრამებისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის გასაცნობად.